ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია
ბრძანება

ბრძანება:**ბ12. 122309316**

თარიღი:**03/04/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების - სატრანსპორტო საშუალებების განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულების, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 აგვისტოს Nგ-13.13222373 განკარგულების, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N 5 1 განკარგულების, „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N 5 1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 აგვისტოს Nგ-13.13222372 განკარგულების, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 02 ნოემბრის N ბ12.12223068 ბრძანება ,,განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის შესამცირებელი ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 02 ნოემბრის N ბ12.12223068 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 07 მარტის N ბ12. 12230668 ბრძანებისა და ,,მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე საწყისი საპრივატიზებო საფასურის 50%-ზე მეტი ფასთა კლებით გამოცხადების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების 2023 წლის 3 მარტის N გ-13. 1323090001 შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების - VAZ-21213 მაღალი გამავლობის, სახელმწიფო ნომრით QV-344-VQ, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (შასის) N XTA21213021585937, გამოშვების წელი 2002, ფერი - წითელი 8/8, პრივატიზებასთან დაკავშირებით;

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების - VAZ-21213 მაღალი გამავლობის, სახელმწიფო ნომრით QV-344-VQ, სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო (შასის) N XTA21213021585937, გამოშვების წელი 2002, ფერი - წითელი 8/8, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 3150,00 (სამი ათას ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტის“ 2022 წლის 28 ივლისის N 377 აუდიტორული დასკვნის თანახმად;

3. განმეორებით უპირობო ელექტრონულ აუქციონზე ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შემცირდეს 59%-ით და საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 1291,5 (ათას ორას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარის ოდენობით;

4. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია „ბე“ განისაზღვროს შემცირებული საპრივატიზებო ღირებულების 20%-ის ოდენობით;

5. ბიჯი განისაზღვროს შემცირებული საპრივატიზებო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

6. განისაზღვროს განმეორებითი უპირობო ელექტრონული აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი: 2023 წლის 04 აპრილის 16:00 საათიდან - 2023 წლის 11 აპრილის 15:00 საათამდე;

7. განმეორებით უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულ პირს გადახდილი ბე/ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას;

8. განმეორებით უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის გაფორმებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში გაფორმდეს მუნიციპალიტეტის ქონების მმართველსა და მუნიციპალიტეტის ქონების შემძენს შორის წერილობითი ნასყიდობის ხელშეკრულება;

9. განმეორებით უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება;

10. თანხა ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა უნდა გადაიხადოს შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე: მიმღების დასახელება: „ხაზინის ერთიანი ანგარიში“

    მიმღები ბანკი: „სახელმწიფო ხაზინა“

    ბანკის კოდი: TRESGE22

    სახაზინო კოდი: 300883332

11. უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკურმა სამსახურმა წინამდებარე ბრძანების განთავსება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე www.eauction.ge, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული აუქციონის ჩატარებას;

12. უზრუნველყოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებამ უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით საპრივატიზებო მოძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის განთავსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე www.akhaltsikhe.gov.ge;

13. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

ილია ზარდიაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

0800 ქ. ახალციხე, მ. კოსტავას ქ. № 18
№ 18 M. Kostava str, 0800 Akhaltsikhe